

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	5
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. მომზადების საფუძვლები.....	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	14
5. ამონაგები	14
6. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	15
7. სხვა ხარჯები	15
8. მოგების გადასახადის ხარჯი	15
9. ძირითადი საშუალებები.....	16
10. არამატერიალური აქტივები.....	17
11. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	17
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	18
13. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები.....	18
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	18
15. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი	18
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19
17. საგადასახადო ვალდებულებები	19
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	19
19. პირობითი ვალდებულებები.....	20
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.


უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:



თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

10 თებერვალი 2025 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს ამის გარდა სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-966804**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

10 თებერვალი 2025 წელი

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	11,489,448	9,305,854
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	6	(2,240,582)	(1,967,175)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9,10	(1,096,408)	(952,734)
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება		(941,247)	(803,830)
სხვა ხარჯები	7	(831,578)	(786,927)
საოპერაციო მოგება		6,379,633	4,795,188
ფინანსური შემოსავალი	14	558,573	516,274
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), წმინდა		48,760	(11,782)
მოგება დაბეგვრამდე		6,986,966	5,299,680
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(596,222)	(541,759)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,390,744	4,757,921

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 10 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ა. გომიშვილი

ალექსანდრე გომიშვილი

მთავარი ბუღალტერი

ირინა წიკლაური

ირინა წიკლაური

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	11,489,448	9,305,854
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	6	(2,240,582)	(1,967,175)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	9,10	(1,096,408)	(952,734)
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება		(941,247)	(803,830)
სხვა ხარჯები	7	(831,578)	(786,927)
საოპერაციო მოგება		6,379,633	4,795,188
ფინანსური შემოსავალი	14	558,573	516,274
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), წმინდა		48,760	(11,782)
მოგება დაბეგვრამდე		6,986,966	5,299,680
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(596,222)	(541,759)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		6,390,744	4,757,921

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 10 თებერვალს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	ალექსანდრე გომიაშვილი
მთავარი ბუღალტერი	_____	ირინა წიკლაური

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	513,274	664,980
არამატერიალური აქტივები	10	4,264,821	4,433,323
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები	11	298,103	-
		5,076,198	5,098,303
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,370,795	1,152,306
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები	13	1,057,569	1,088,530
ფული და ფულის ეკვივალენტები	14	9,222,296	6,647,311
		11,650,660	8,888,147
სულ აქტივები		16,726,858	13,986,450
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	271,310	271,310
საემისიო კაპიტალი	15	39,994	39,994
გაუნაწილებელი მოგება		15,814,643	13,230,238
სულ კაპიტალი		16,125,947	13,541,542
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	428,915	326,089
საგადასახადო ვალდებულებები	17	171,996	118,819
სულ ვალდებულებები		600,911	444,908
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		16,726,858	13,986,450

9 – 21 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	271,310	39,994	11,772,317	12,083,621
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	4,757,921	4,757,921
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(3,300,000)	(3,300,000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	271,310	39,994	13,230,238	13,541,542
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	-	6,390,744	6,390,744
გამოცხადებული დივიდენდები	-	-	(3,806,339)	(3,806,339)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	271,310	39,994	15,814,643	16,125,947

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	6,986,966	5,299,680
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,096,408	952,734
ფინანსური შემოსავალი	(558,573)	(516,274)
წმინდა (მოგება) ზარალი საკუროსო სხვაობიდან	(48,760)	11,782
	7,476,041	5,747,922
შემცირება (ზრდა) შემდეგ საოპერაციო აქტივებში:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(218,482)	(216,730)
(შემცირება) ზრდა შემდეგ საოპერაციო ვალდებულებებში:		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	114,890	29,211
საგადასახადო ვალდებულებები	53,177	19,238
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	7,425,626	5,579,641
გადახდილი მოგების გადასახადი	(596,222)	(541,759)
ფინანსური შემოსავალი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე, მოთხოვნამდე და მოკლევადიან დეპოზიტებზე	468,203	427,744
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები	7,297,607	5,465,626
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(91,071)	(393,239)
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები, წმინდა	-	(1,000,000)
ფინანსური შემოსავალი ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ თანხებზე	121,331	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(685,129)	(539,417)
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები	(298,103)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(952,972)	(1,932,656)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(3,806,339)	(3,300,000)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(3,806,339)	(3,300,000)
წმინდა ფულადი სახსრების ზრდა	2,538,296	232,970
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	6,647,311	6,424,387
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე	36,689	(10,046)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	9,222,296	6,647,311

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2005 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 204470740.

კომპანიის იურიდიული მისამართია თარხნიშვილის ქუჩა #2, 0179, თბილისი, საქართველო.

კომპანია ფლობს მსესხებლების საკრედიტო მონაცემებს და მოცემული ინფორმაციით მომსახურებას უწევს დამკვეთებს, როგორებიც არიან: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, სალიზინგო კომპანიები, ფიზიკურ პირები და სხვა ორგანიზაციები.

2024 წლის განმავლობაში მოხდა სააქციო საზოგადოების აქციონერთა ცვლილება, კერძოდ Creditinfo International - ის წილის (36.76%) მფლობელი გახდა Compass UK BIDCO Limited.

კომპანიაში 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 30 და 29 თანამშრომელი, შესაბამისად.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰყავს მავონტროლებელი პირი, ხოლო აქციებს ფლობდნენ შემდეგი საწარმოები:

	მფლობელობა, %	
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
Credit info International GmbH (Creditinfo Group hf-ის შვილობილი)	-	36.76
Compass UK BIDCO Limited	36.76	-
სს „თიბისი ბანკი“	21.08	21.08
სს „პროკრედიტ ბანკი“	21.08	21.08
სს „საქართველოს ბანკი“	21.08	21.08
	100	100

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის, ასევე, მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე ისეთი არსებითი განუსაზღვრელობა, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ექვი შეიტანოს კომპანიის უნარზე გააგრძელოს საქმიანობა. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები გამოიყენება ყველა წარდგენილი პერიოდისთვის, თუ სხვაგვარად არ არის განცხადებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია მომსახურებას გასწევს შემდეგი გადახდის სტანდარტული საკრედიტო პირობებით. მოთხოვნებს არ ერიცხება სარგებელი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებებს, რათა განსაზღვროს, ხომ არ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურების შემთხვევაში გაუფასურების ზარალი აღიარდება ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე/მოკლევადიან დეპოზიტებს, რომლებიც წარმოადგენენ მოკლევადიან, მაღალ-ლიკვიდურ აქტივებს. ფულად სახსრებზე კომპანია იღებს წლიურ სარგებელს დადგენილი საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. დარიცხული სარგებელი წარდგენილია ფინანსურ შემოსავალში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (მოიცავს გარიგების ხარჯებს). სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხება სარგებელი. პროცენტური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთდროულად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც კონტრაქტიდან წარმომდგარი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება კონტრაქტის საფუძველზე გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება კომპანიას, მის მიერ აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე. თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფებს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები ჯგუფების მიხედვით:

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სერვერი	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი	5-10

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განიხილავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს. საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი ცვლილება. იმ შემთხვევაში, თუ აქტივის ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და ამორტიზდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის პროპორციულად. ამორტიზაციის ხარჯი მოცემულია ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯების მუხლში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. თუ არსებობს აქტივის ამორტიზაციის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ამორტიზაციის დარიცხვის ცვლილება აისახება პერსპექტიულად. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადაა 2-10 წელი.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

კომპანია აღიარებს მოგების გადასახადს და ვალდებულებას იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდის გამოცხადება, მიუხედავად იმისა, რომელი პერიოდის დივიდენდის გაცემას ეხება ან როდის გაიცემა.

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას.

წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შესაბამისად, კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით.

სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კაპიტალში აღიარებულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება, როგორც „სააქციო კაპიტალი“. აქციების გამოშვებისას ნომინალური ღირებულების ნამეტით მიღებული თანხები კაპიტალში კლასიფიცირდება, როგორც „საემისიო კაპიტალი“.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნაში.

ამონაგები

ამონაგების განსაზღვრა ხდება მომსახურების გაწევიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ამონაგები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით (არსებობის შემთხვევაში). კომპანია ამონაგებს აღიარებს, როცა შემდეგი პირობებია შესრულებული:

- ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;
- მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
- შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და
- შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

3. არსებითი საადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საოპერაციო იჯარა

კომპანია ქირაობს საოფისე ფართს თავისი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად და აკლასიფიცირებს, როგორც საოპერაციო იჯარას. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების სპეციფიკას.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებთან დაკავშირებული ვალდებულებები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

- მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია. კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედილი, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება არის ხელმძღვანელობის განსჯის საკითხი, რომელიც ეფუძნება მსგავსი აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. რომელიმე ამ პირობის ან შეფასების ცვლილებამ შესაძლოა გამოიწვიოს ცვეთის/ამორტიზაციის განაკვეთების ცვლილება მომავალში.

5. ამონაგები

	2024	2023
შემოსავალი საკრედიტო რეპორტებიდან	7,041,799	6,288,998
შემოსავალი დამატებითი პაკეტური მიღებებიდან	1,314,001	660,063
შემოსავალი კრედიტინფო პრედიქტორის მომსახურებიდან	1,048,363	1,042,508
შემოსავალი „ჩემი კრედიტინფო“ მომსახურებიდან	694,047	433,756
შემოსავალი ფულადი გზავნილების რეპორტებიდან	329,100	25,320
მონიტორინგი	285,753	222,915
სხვა მომსახურებები	776,385	632,294
	11,489,448	9,305,854

6. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	(1,657,609)	(1,537,746)
ბონუსი	(493,948)	(343,091)
დაზღვევა	(89,025)	(86,338)
	(2,240,582)	(1,967,175)

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება გაშიფრულია მე-18 შენიშვნაში.

7. სხვა ხარჯები

	2024	2023
იჯარა და სხვა საოფისე ხარჯები	(263,576)	(258,806)
საკონსულტაციო მომსახურება	(208,381)	(122,648)
ლიცენზიების ხარჯი	(99,965)	(90,812)
რეკლამის ხარჯები	(68,508)	(61,196)
მოვალეთა რეესტრის ბაზის გამოყენების ხარჯი	(50,847)	(50,847)
საწვავის ხარჯი	(25,156)	(22,145)
სამოქალაქო რეესტრის ბაზის გამოყენების ხარჯი	(14,542)	(11,040)
კომუნიკაციის ხარჯები	(13,138)	(13,282)
დაზღვევის ხარჯი	(12,800)	(10,667)
კომუნალური ხარჯები	(8,392)	(8,242)
როიალტი	-	(83,253)
სხვა ხარჯები	(66,273)	(53,989)
	(831,578)	(786,927)

8. მოგების გადასახადის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის კომპანიამ აქციონერებზე გაანაწილა დივიდენდი 3,806,339 ლარის ოდენობით (2023: 3,300,000 ლარი).

მოგების გადასახადის ხარჯი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
გამოცხადებული დივიდენდი (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით - 5%)	3,806,339	3,300,000
გათავისუფლებული მოგება	427,745	230,033
დაბეგვრას დაქვემდებარებული დივიდენდი	3,378,594	3,069,967
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85	15/85
გადასახდელი მოგების გადასახადი	(596,222)	(541,759)
მოგების გადასახადის ხარჯი	(596,222)	(541,759)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სერვერი	ოფისის აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	807,588	255,256	139,925	1,202,769
შემოსვლა	376,716	16,523	-	393,239
2023 წლის 31 დეკემბერი	1,184,304	271,779	139,925	1,596,008
შემოსვლა	57,456	33,615	-	91,071
2024 წლის 31 დეკემბერი	1,241,760	305,394	139,925	1,687,079
დაგროვილი ცვეთა				
2022 წლის 31 დეკემბერი	(437,509)	(204,681)	(77,025)	(719,215)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(175,790)	(22,208)	(13,815)	(211,813)
2023 წლის 31 დეკემბერი	(613,299)	(226,889)	(90,840)	(931,028)
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	(207,208)	(21,715)	(13,854)	(242,777)
2024 წლის 31 დეკემბერი	(820,507)	(248,604)	(104,694)	(1,173,805)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერი	571,005	44,890	49,085	664,980
2024 წლის 31 დეკემბერი	421,253	56,790	35,231	513,274

10. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები	სერვერზე სივრცის გამოყენების უფლება	ლიცენზიები	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	4,781,466	1,545,005	116,207	6,442,678
შემოსვლა	269,978	193,403	17,522	480,903
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	5,051,444	1,738,408	133,729	6,923,581
შემოსვლა	139,236	545,893	-	685,129
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	5,190,680	2,284,301	133,729	7,608,710
	-	-	-	
დაგროვილი ამორტიზაცია	-	-	-	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	(770,589)	(932,528)	(46,220)	(1,749,337)
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(548,625)	(169,896)	(22,400)	(740,921)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	(1,319,214)	(1,102,424)	(68,620)	(2,490,258)
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(570,699)	(262,460)	(20,472)	(853,631)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	(1,889,913)	(1,364,884)	(89,092)	(3,343,889)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	3,732,230	635,984	65,109	4,433,323
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერი	3,300,767	919,417	44,637	4,264,821

სერვერზე სივრცის გამოყენების უფლება შეძენილია 2017 წელს, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილისგან - Creditinfo Solutions s.r.o-სგან, 679,197 ლარად. მას შემდეგ კომპანიამ რამდენჯერმე გაზარდა სერვერის სიმძლავრე. სერვერები განლაგებულია პრაღაში, კომპანიის ძირითადი აქციონერის შვილობილის Creditinfo Solutions, s.r.o-ს ტერიტორიაზე.

საოპერაციო კომპიუტერული პროგრამები მოიცავს საოპერაციო პროგრამა "კრედიტინფო" ღირებულებით 2,789,796 ლარი. აღნიშნული პროგრამის შესყიდვა მოხდა იმავე მომწოდებლისგან. საოპერაციო პროგრამით სარგებლობის ვადაა 10 წელი. კომპანია ამავე ხელშეკრულების ფარგლებში იღებს აღნიშნული პროგრამის შენახვა-მხარდაჭერის მომსახურებას პროგრამით სარგებლობის პერიოდის ბოლომდე. დეტალებისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა.

11. გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები

არამატერიალური აქტივებისთვის გადახდილი ავანსები 298,103 ლარის ოდენობით წარმოადგენს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით Creditinfo CEE a.s.-სთვის გადახდილ თანხებს. არსებული ავანსები, გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში, გადახდილია კომპანიის საოპერაციო პროგრამაზე ახალი ფუნქციების დამატებისა და სერვერზე სივრცის გამოყენების უფლების შესყიდვისთვის. აღნიშნული ხელშეკრულებების მიხედვით, აქტივები ექსპლუატაციაში შევა 2025 წელს.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები ბანკებისგან	957,457	766,677
სავაჭრო მოთხოვნები მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან	208,090	222,709
სავაჭრო მოთხოვნები სალიზინგო კომპანიებიდან	34,721	38,706
სავაჭრო მოთხოვნები სხვა კლიენტებისგან	65,055	45,485
	1,265,323	1,073,577
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	105,472	78,729
	1,370,795	1,152,306

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივები არის მიმდინარე და არა გაუფასურებული.

13. ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები

2024 წლის ივნისში კომპანიამ განათავსა ერთწლიანი ვადიანი დეპოზიტი ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში. დეპოზიტის თანხა არის 1,000,000 მილიონი ლარი და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.3% -ს. 2024 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 57,569 ლარს. შესაბამისად, დეპოზიტისა და მისი საპროცენტო მოთხოვნის ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,057,569 ლარს.

2023 წლის აპრილში კომპანიამ განათავსა ერთწლიანი ვადიანი დეპოზიტი ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში. დეპოზიტის თანხა იყო 1,000,000 მილიონი ლარი და ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 12.1%-ს. 2023 წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალმა შეადგენა 88,530 ლარი. შესაბამისად, დეპოზიტისა და მისი საპროცენტო მოთხოვნის ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,088,530 ლარს.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	289,007	5,012,518
ფული მოთხოვნამდე და მოკლევადიან სადეპოზიტო ანგარიშებზე	8,933,205	1,634,705
ნაღდი ფული	84	88
	9,222,296	6,647,311

კომპანიას ერიცხება საპროცენტო სარგებელი მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე და მოკლევადიან დეპოზიტებზე, რომელმაც 2024 წელს შეადგინა 558,573 ლარი (2023: 516,274 ლარი).

15. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი

ავტორიზებული და გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 27,131 ცალი თითოეული 10 ლარის ნომინალური ღირებულებით. 2024 და 2023 წლის განმავლობაში არ ყოფილა საემისიო კაპიტალის ცვლილება და მათმა ღირებულებამ შეადგინა 271,310 ლარი.

2024 წელს კომპანიამ გადაიხადა 3,806,339 ლარის ოდენობის დივიდენდი აქციონერთა წილების შესაბამისად (2023: 3,300,000 ლარი).

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	99,497	88,782
ბონუსის ანარიცხი*	329,418	237,307
	428,915	326,089

*კომპანიის პოლიტიკის მიხედვით, ბონუსის ანარიცხი აღიარდება, თუ შესრულდება გარკვეული საქმიანობის საკვანძო მაჩვენებლები (KPI-ები). ბონუსის ანარიცხი შექმნილია თანამშრომლების, მათ შორის დირექტორის მიმართ გადასახდელ ბონუსებთან დაკავშირებით და იგი გაიცემა მას შემდეგ, რაც სამეთვალყურეო საბჭო დაამტკიცებს შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებას.

17. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო ღირებულებით, თანხით 171,996 ლარი და 118,819 ლარი ვალდებულება, შესაბამისად.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს და უმაღლეს ხელმძღვანელობაში შემავალ პირებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

ბალანსის მუხლი	დაკავშირებული მხარე	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
		ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის	ნაშთი დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		631,094	1,370,795	387,019	1,152,306
სს "საქართველოს ბანკი"	დამფუძნებელი	335,700		239,144	
სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	245,169		143,499	
სს "პროკრედიტ ბანკი"	დამფუძნებელი	7,297		4,376	
Creditinfo CEE a.s	სხვა დაკავშირებული მხარე	42,928		-	
ფული და ფულის ეკვივალენტები		10,105,632	9,222,296	5,774,454	6,647,311
სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	4,951,555		5,774,372	
სს "საქართველოს ბანკი"	დამფუძნებელი	1,020,930		82	
სს "პროკრედიტ ბანკი"	დამფუძნებელი	4,133,147		-	
გრძელვადიანი აქტივებისთვის გადახდილი ავანსები		298,103	298,103	-	-
Creditinfo CEE a.s	სხვა დაკავშირებული მხარე	298,103		-	
ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული თანხები		1,057,569	1,057,569	1,088,530	1,088,530
სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	1,057,569		1,088,530	1,088,530
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		85,875	428,915	71,575	326,089
Creditinfo CEE a.s	სხვა დაკავშირებული მხარე	85,875		71,575	
არამატერიალური აქტივების შესყიდვები		545,893	4,264,821	348,647	4,433,323
Creditinfo CEE a.s	სხვა დაკავშირებული მხარე	545,893		348,647	

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

მოგება-ზარალის მუხლი	დაკავშირებული მხარე	2024		2023	
		ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის	ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან	სულ ფინანსური ანგარიშგების მუხლისთვის
ამონაგები		5,057,849	11,489,448	3,524,464	9,305,854
სს "საქართველოს ბანკი"	დამფუძნებელი	3,059,822		2,182,536	
სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	1,934,377		1,292,178	
სს "პროკრედიტ ბანკი"	დამფუძნებელი	63,650		49,750	
ფინანსური შემოსავალი		554,324	558,573	492,647	516,274
სს "საქართველოს ბანკი"	დამფუძნებელი	97,011		185,238	
სს "პროკრედიტ ბანკი"	დამფუძნებელი	205,201		122,897	
სს "თიბისი ბანკი"	დამფუძნებელი	252,112		184,511	
საოპერაციო კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების მომსახურება		(941,247)	(941,247)	(803,830)	(803,830)
Creditinfo CEE a.s	სხვა დაკავშირებული მხარე	(941,247)		(792,555)	
Creditinfo International GmbH	დამფუძნებელი	-		(11,275)	
სხვა ხარჯები		(31,658)	(831,578)	(117,091)	(786,927)
Creditinfo International GmbH	დამფუძნებელი	-		(83,253)	
Creditinfo CEE a.s	სხვა დაკავშირებული მხარე	(31,658)		(33,838)	

უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო	610,541	480,976

19. პირობითი ვალდებულებები

შეუქცევადი საოპერაციო იჯარა - 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას აქვს იჯარით აღებული ოფისი საოპერაციო საკმთანაბრების შემდეგ მისამართზე: თარხნიშვილის 2, თბილისი, საქართველო. იჯარა არის საოპერაციო და მისი ვადაა ხუთი წელი. იჯარის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2025 წლის 31 დეკემბერი. კომპანიას წლის ბოლოს ჰქონდა შემდეგი ვალდებულებები შეუქცევადი საოპერაციო იჯარებისთვის:

	2024	2023
ერთი წლის განმავლობაში	209,938	209,938
ორი-ხუთი წლის განმავლობაში	-	209,938
	209,938	419,876

სასამართლო დავა - 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია არ ყოფილა ჩართული არანაირ არსებით სასამართლო დავაში. ხელმძღვანელობის აზრით, არ არის მოსალოდნელი არსებითი ზარალების წარმოშობა სასამართლო დავებთან დაკავშირებით. შესაბამისად, არ არის აღიარებული რაიმე სახის ანარიცხი.

გადასახადები და დაბეგრის გაუთვალისწინებელი გარემოებები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების დივიდენდების სახით განაწილების შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად მინიმალური განაღდებული კაპიტალის მოთხოვნის გათვალისწინებით, გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 2,275,131 ლარი.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

მარეგულირებლის მოთხოვნებთან შესაბამისობა - კომპანიის საქმიანობას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი. კომპანიის მიერ დასაკმაყოფილებელი რეგულაციები განსაზღვრულია ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებებში. მათ შორის ერთ-ერთი ბრძანების, N193/04 „საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, კომპანიის განაღდებული კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 3,000,000 ლარს. კომპანია სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას.

ამავე ბრძანების მიხედვით, კომპანია ვალდებულია გააჩნდეს პოლიტიკები და პროცედურები, რომლებიც მოიცავს ორგანიზაციის არსებული საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების ადეკვატურობის და უსაფრთხოების საკითხებს, დანერგოს ისეთი საინფორმაციო სისტემები და ტექნოლოგიები, რომელიც შესაფერისია და შეესაბამება ბიუროს მიერ განხორციელებულ და სამომავლო ოპერაციების მოცულობასა და კომპლექსურობას, შეიმუშაოს შიდა საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკა. ასევე, ბიურომ რეგულარულად უნდა ჩაატაროს შეღწევადობის ტესტირება და საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების დამოუკიდებელი აუდიტი გარე აუდიტორული ან სხვა შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის მონაწილეობით. კომპანია აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ ყოფილა ისეთი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში გაშიფვრას.